პროექტი

განკარგულება

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 29 დეკემბრის №120 განკარგულებაში –„ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2015 წლის სახელმწიფო შესყიდვების გეგმის დამტკიცების შესახებ“ - ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.ბ” ქვეპუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად

საკრებულო ადგენს:

1. შეტანილ იქნას ცვლილება მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 29 დეკემბრის №120 განკარგულებაში – “ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2015 წლის სახელმწიფო შესყიდვების გეგმის დამტკიცების შესახებ“ (დანართი თან ერთვის).
2. განკარგულების გასაჩივრება შეიძლება ერთი თვის ვადაში ოზურგეთის რაიონული სასამართლოს მაგისტრატ სასამართლოში ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში, მისამართი ჭავჭავაძის ქ №4.
3. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

პროექტის ავტორი: გ. ლომინეიშვილი

დ ა ს კ ვ ნ ა

„ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 29 დეკემბრის №120 განკარგულებაში – „ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2015 წლის სახელმწიფო შესყიდვების გეგმის დამტკიცების შესახებ“ - ცვლილების შეტანის თაობაზე“

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო და მუნიციპალური შესყიდვების სამსახურის მიერ მომზადებული პროექტი - „ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 29 დეკემბრის №120 განკარგულებაში - ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2015 წლის სახელმწიფო შესყიდვების გეგმის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე“, შეესაბამება საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.ბ“ ქვეპუნქტს, რომლის თანახმადაც საკრებულოს უფლებამოსილებას მიეკუთვნება მუნიციპალიტეტის გამგებლის წარდგინებით მუნიციპალიტეტის შესყიდვების გეგმის დამტკიცება.

განკარგულების პროექტი შესაბამისობაშია ,,საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“-ს 63-ე მუხლთან, რომლის თანახმადაც ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში ცვლილებისა და დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მომზადებისა და გამოცემისთვის დადგენილი წესით.

ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული
განყოფილების წამყვანი სპეციალისტი: *ნინო ვაჩეიშვილი*

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელს

ბატონ ვლადიმერ სიხარულიძეს

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგებლის

ირაკლი კუჭავას

განმარტებითი ბარათი

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ და საქართველოს კანონის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ - შესაბამისად მუნიციპალიტეტის გამგეობა განსახილველად წარმოგიდგენთ განკარგულების პროექტს - „ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 29 დეკემბრის №120 განკარგულებაში „ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2015 წლის სახელმწიფო შესყიდვების გეგმის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე“.

გეგმის პროექტში დეტალურად არის აღნიშნული სახელმწიფო შესყიდვების ერთგვაროვანი ჯგუფები, (საქონელი, მომსახურეობა, სამუშაო) შესყიდვის მეთოდები, ვადებისა და მონეტარული ზღვრების სრული დაცვით. გეგმის მიხედვით მუნიციპალიტეტის გამგეობა 2015 წელში განახორციელებს ადგილობრივი ბიუჯეტით **478 047** ლარის შესყიდვას და სახელმწიფო ბიუჯეტით **965 287** ლარის შესყიდვას (დანართი N1).

აღნიშნულის გათვალისწინებით განსახილველად წარმოგიდგენთ განკარგულების პროექტს – „ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 29 დეკემბრის №120 განკარგულებაში „ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2015 წლის სახელმწიფო შესყიდვების გეგმის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე“.

საკრებულოს სხდომაზე დანიშნული მომხსენებელია მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო და მუნიციპალური შესყიდვების სამსახურის უფროსი – გელა ლომინეიშვილი.

მუნიციპალიტეტის გამგებელი: *ირაკლი კუჭავა*

დანართი N1

ადგილობრივი ბიუჯეტით განსახორციელებელი სახელმწიფო შესყიდვების გეგმის პროექტში შევიდა შემდეგი ცვლილებები - დაბის კეთილმოწყობის მუხლიდან ვიდეო სამეთვალყურეო ტექნიკის შეძენისათვის გამოყოფილ თანხას დაემატა 3800 ლარი. ბიუჯეტის შესაბამისი მუხლიდან გამოიყო 9300 ლარი წარმომადგენლობითი ხარჯებისათვის. სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი იქნა თანხები შესყიდვების განხორციელებისათვის, კერძოდ: სოფ. ერკეთისა და სოფ. კოსნარისათვის ცემენტის შესასყიდად - 216 ლარი, სოფ. კოხნარისათვის წყლის მილების შესაძენად 384 ლარი, დაბა ჩოხატაურში მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ შენობაში, სოფ. ხიდისთავში წყალსადენი სისტემის შეკეთებისათვის 7800 ლარი, 26 ბინიანი სახლის სახურავზე წყალშემკრები ლითონის ღარის ძაბრებისა და მილების მოწყობისათვის 7335 ლარი, სოფ. ბასილეთში საქართველოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში დაღუპული გურამ უჯმაჯურიძის სასაფლაოს მოწყობისათვის 1233 ლარი, სოფ. შუა ამაღლებაში საბავშვო ბაღში მარტივი საკანალიზაციო სალექარის მოწყობისათვის - 1146 ლარი, სოფ. შუაამაღლებისათვის ეკლიანი მავთულის შესაძენად - 450 ლარი, ჩოხატაური-სურების გზის მე-5-ე კმ-ში სოფ ბუკისციხეში დამეწყრილი მონაკვეთის აღდგენის სამუშაოებისათვის - 2529 ლარი, ვაკანსიების დასაკავებლად გამოცხადებული კონკურსის ჩატარების მომსახურეობისათვის - 880 ლარი, წარჩინებული მოსწავლისათვის სამხატვრო საღებავების შეძენისათვის - 300 ლარი; კვლევითი-ლაბორატორიული მომსახურეობისათვის სოფლის პროგრამის თანადაფინანსების თანხიდან - 500 ლარი, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის შესახებ ფილმის გადაღებისათვის საინვესტიციო პროგრამების თანადაფინანსებიდან - 2000 ლარი. საექსპერტო მომსახურეობისათვის შესაბამისი მუხლიდან გამოიყო - 1000 ლარი. იუპიესების შეძენისათვის კომპიუტერული ტექნიკისათვის გამოყოფილი თახებიდან გამოიყო - 1700 ლარი; გამაგრილებელი ტექნიკის (კონდიციონერების) რემონტისათვის - ხელსაწყოები, ანჯამები, საკეტები გასაღებები და სხვა სამეურნეო სქონელის შეძენისათვის გამოყოფილი თანხებიდან - 800 ლარი,

სულ ადგილობრივი ბიუჯეტით წარმოდგენილი გეგმით უნდა განხორცელდეს **478 047** ლარის შესყიდვა.

სახელმწიფო ბიუჯეტით განსახორციელებელ შესყიდვებს დაემატა 250 000 ლარი სპეციალური ტექნიკის შეძენისათვის და სოფლის მხარდაჭერის პროგრამის განხორციელებისათვის 627 577 ლარი.

სულ სახელმწიფო ბიუჯეტით უნდა განხორციელდეს **965 287** ლარის შესყიდვა.